



საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქ. 6, ტელ: 72-72-00, 72-72-20 ფაქსი: 72-72-37,

ეკოლოგიური ექსპერტიზის
დასკვნა პროექტზე

№ 20

„12“ „თებერვალი“ 2009წ.

I. საერთო მონაცემები

1. საქმიანობის დასახელება— ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური
2. საქმიანობის განმახორციელებლის დასახელება და მისამართი — სს „ზაქესი“. თბილისი. ზაქესი, კასკადის ქ.№1
3. განხორციელების ადგილი — თბილისი. ზაქესი, კასკადის ქ.№1
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი — 23.01.09.
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ — გარემოსდაცვითი საკონსულტაციო ფირმა შპს „ეკოლცენტრი“

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

სს „ზაქესი“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილია „ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში“.

ზაქესი მდებარეობს თბილისის მახლობლად, მისგან 14კმ დაშორებით. ჰიდროსადგურის ძირითადი ნაგებობები განლაგებულია მცხეთისა და თბილისის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. ობიექტის ფუნქციონირების ზეგავლენის რაიონი შემოიფარგლება მდ.მტკვრის ხეობით სათავე ნაგებობებიდან ზევით სოფ.ძეგვამდე (~10კმ მანძილზე) და მდ.არაგვის შესართავიდან ~3კმ მანძილზე (ბებრის ციხემდე), ხოლო ქვემოთ – თბილისის შემოსასვლელში არსებულ რკინიგზის ხილამდე.

ზაქესი საქართველოში პირველი მსხვილი ჰიდროენერგეტიკული ობიექტია. მისი მშენებლობა 1923 წელს დაიწყო. პირველი რიგის მშენებლობა 1927 წელს დასრულდა, ხოლო საპროექტო სიმძლავრით ჰიდროელექტროსადგური 1938 წელს ამოქმედდა.

ჰიდროკანძის ძირითადი ნაგებობების შემადგენლობაში შედის 28მ სამშენებლო სიმაღლისა და 96,3მ სიგრძის ბეტონის გრავიტაციული წყალსაშვიანი კაშხალი სამი მალით, გვერდითი წყალმიმღები, მცირე კაშხალი (განათხარი) ფსკერული გამრეცხით, ტრაპეციული კვეთის 3056მ სიგრძის სადერივაციო არხი, სადაწნეო აუზი ფსკერული გამრეცხებით, სადაწნეო მილსადენების ექვსი ძაფი და ჰესის ძალოვანი კვანძი.

სადგური მუშაობს 24 საათიან რეჟიმში, ბუნებრივ მოდინებაზე, მდინარის ჩამონადენის დარეგულირების გარეშე. დადგმული სიმძლავრეა 42,8 მგვტ, ელექტროენერგიის საშუალო წლიური გამომუშავება 184 მლნ კვტ/ს (საპროექტო). ჰესის მიერ ელექტროენერგიის გამოსამუშავებლად გამოყენებული წყალი, დანაკარგის გარეშე ბრუნდება მდინარეში. გამომუშავებული ელექტროენერგია 35 და 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზებით მიეწოდება საქართველოს გაერთიანებულ ენერგოსისტემას.

მოცემულია აგრეთვე, გარემოს დაბინძურების მდგომარეობა: ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ზედაპირული წყლების ობიექტების დაბინძურება, რადიაციული ფონის შეფასება, იქთიოფაუნაზე ზემოქმედების შეფასების კრიტერიუმები.

გარემოზე ზემოქმედების შეფასება შეეხება მხოლოდ ჰიდროსადგურის ოპერირების პროცესს. ანგარიშში განხილული არ არის ჰიდროტექნიკური ნაგებობების არსებული მდგომარეობა, მიმდინარე სარეაბილიტაციო ღონისძიებები და მათი ეფექტურობა; სადერივაციო არხის პერიოდული გაწმენდა-მოწესრიგებისას გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები, წყალსაცავის, დერივაციული არხის და გამყვანი ტრაქტის ნაპირებზე არსებული ეროზიული პროცესები და მათი განვითარების საწინააღმდეგო ანტიფილტრაციული ან ნაპირსამაგრი ღონისძიებების საჭიროება, წარმოების პროცესში გამოყენებული ზეთების ნარჩენების წარმოქმნის შესაძლებლობა და გათვალისწინებული

სარეგენერაციო (ხელახალი გადაშენების) ღონისძიებები; არ არის განხილული ჰესის სრული დატვირთვით ფუნქციონირებისათვის ჩასატარებელი სამუშაოები, არ არის მოცემული მდ. მტკვრის საშუალო თვიური ხარჯები სადერივაციო არხის სათავე ნაგებობის კვეთში, (რაც აუცილებელია ჰესის სრული სიმძლავრით მუშაობის ხანგრძლივობისა და ელექტროენერგიის მაქსიმალური რაოდენობით გამოშენების დასადგენად), არ არის მოყვანილი ხმაურის დონეები კონკრეტულად სააგრეგატო შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, არ არის მოცემული ზედაპირულ წყლებში ტურბინის ზეთის მოხვედრის შესაძლებლობა და მოსალოდნელი რაოდენობა, არ არის გათვლილი ნარჩენების წლიური რაოდენობა და მათი მიახლოებითი სახეები. აგრეთვე გარემოზე ზემოქმედება რეაბილიტაციისა და სამშენებლო სამუშაოების წარმოების დროს. აღნიშნულიდან გამომდინარე არ არის მოცემული შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები.

ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის დაწყებიდან გასული პერიოდის განმავლობაში ნაგებობების გარემოსთან ადაპტირების გათვალისწინებით, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემა ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციის განსახორციელებლად მიზანშეწონილად მიგვაჩნია სს „ზაჰესი“-ს მიერ ეკოლოგიური ექსპერტიზის შედეგად გამოვლენილი შენიშვნების შესრულების პირობით.

III. პირობები


1. სს „ზაჰესი“-ს ხელმძღვანელობა მიმდინარე წლის ბოლომდე ვალდებულია:
 - შეისწავლოს სადგურისა და ზეთსაცავის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების მოცილებისათვის საჭირო სადრენაჟო სისტემის მდგომარეობა და აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი რეაბილიტაციის ან მოწყობის, აგრეთვე, ნავთობდამჭერი დანადგარის დამონტაჟების დეტალური პროექტის დამუშავება და მისი განხორციელება;
 - შეისწავლოს ჰესის ზემო და ქვემო ბიეფებში, აგრეთვე სადერივაციული არხის გასწვრივ არსებული ჰიდროგეოლოგიური პირობები და გეოდინამიკური პროცესების განვითარების ტენდენციები. დამუშავებულ იქნეს სტაბილიზაციის ღონისძიებების საპროექტო დოკუმენტაცია და წარმოადგინოს შესათანხმებლად საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში;
 - დაამუშაოს ჰიდროსადგურის ექსპლუატაციის პირობებში სადერივაციო სისტემის (წყალმიძვლები ცხაურებით, არხი, სადაწნეო აუზი) ნატანისაგან და ნაგავისაგან გაწმენდისა და ნარჩენების ადვილობრივ გარემოსდაცვით ორგანოებთან შეთანხმებულ ნაგავსაყრელზე განთავსების ტექნიკური პირობები;
2. სს „ზაჰესი“-ს ხელმძღვანელობა ვალდებულია უზრუნველყოს ჰესის სათავე ნაგებობის კვეთში მდინარის საშუალო მრავალწლიური ხარჯის 10%-ის ტოლი წყლის ხარჯის მუდმივი გაშვება 19მ³/წმ ოდენობით (და არა მინიმალური ხარჯის 10%-ის ტოლი) წლის ნებისმიერ პერიოდში;
3. სს „ზაჰესი“-ს ხელმძღვანელობამ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან 6 თვის განმავლობაში უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მენეჯმენტის გეგმის დამუშავება, სადაც განსაზღვრული იქნება როგორც ჰესის სარაბილიტაციო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების, ისე ჰესის ექსპლუატაციის დროს გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. მენეჯმენტის გეგმა შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოსთან;
4. სს „ზაჰესი“-ს ხელმძღვანელობამ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან 6 თვის განმავლობაში უზრუნველყოს ჰიდროტექნიკური ნაგებობების მონიტორინგის პროგრამის დამუშავება და შეთანხმება საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოსთან;
პროგრამაში გათვალისწინებული იქნას ფარების გაწმენდის დროს წყლის დაშვების სიჩქარეზე და კაშხალის ქვემო ბიეფში სანიტარული ხარჯის გატარებაზე მუდმივი მონიტორინგი.
5. ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემიდან 6 თვის განმავლობაში დამუშავდეს ავარიულ სიტუაციებში რეაგირების გეგმა და შეთანხმდეს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილ ორგანოსთან;

IV. დასკვნა

შპს „ზაქესი“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ზემო ავჭალის ჰიდროელექტროსადგური“-ს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი პირობების გათვალისწინების შემთხვევაში.

ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა გაიცეს განუსაზღვრელი ვადით.

ლიცენზიებისა და ნებართვების
სამსახურის უფროსი
ნიკოლოზ ჭახნაკია
(სახელი, გვარი)
ბ.ა.


(ხელმოწერა)

